

## მცირე ბიზნესის ხელშეწყობის საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში

**ინა ბუკია**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი  
[izabukia@yahoo.com](mailto:izabukia@yahoo.com)

საქართველოში მენარმეობის განვითარებისთვის და განსაკუთრებით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმეებისთვის რიგი მასტიმულირებელი ქმედება ხორციელდება საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით.

მცირე ბიზნესის სტატუსი საქართველოში საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა და 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა, რათა გადასახადის გადამხდელებს, რომლებსაც შედარებით დაბალი ერთობლივი შემოსავალი ჰქონდათ, გარკვეული შეღავათებით ესარგებლათ. სტატუსის შემოღების შემდეგ, გადასახადის გადამხდელების სასარგებლოდ, 2018 წელს დამატებით ცვლილება განხორციელდა. თუმცა, აღნიშნული ცვლილებით, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო ბიუჯეტმა დაკარგა გარკვეული შემოსავლები, ასევე შეიქმნა გარკვეული რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლოა სახელმწიფოს შემოსავლები დამატებით შეუმციროს.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ბიზნესი; საგადასახადო პოლიტიკა; ბიუჯეტი; საგადასახადო კანონმდებლობა.

თავდაპირველად, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა მცირე ბიზნესის სტატუსი (2011წ), ის შეიძლებოდა მინიჭებოდა მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან (საქართველოს მთავრობას უფლება აქვს აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს) მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 100 ათას ლარს არ აღემატებოდა [1, გვ. 69. მუხლი 88], დასაბეგრი შემოსავალი კი 5%-ით იბეგრებოდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირს ერთობლივი შემოსავლის 60% ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები ჰქონდა, ის 3%-ით იბეგრებოდა [1. გვ. 70. მუხლი 90]. იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმის დასაბეგრი შემოსავალი გადააჭარბებდა 100 ათას ლარს, მაშინ მას ჰქონდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, რაც თავის მხრივ, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებას გულისხმობდა [1, გვ. 71, მუხლი 92].

2018 წლის 1 ივლისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და ერთობლივი შემოსავლის ზღვარი 100 ათასი ლარიდან 500 ათას ლარამდე გაიზარდა. დასაბეგრი შემოსავალი 5%-ის ნაცვლად 1%-ით იბეგრება, თუმცა, 3%-იანი განაკვეთით იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 ათას ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500 ათას ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების შემთხვევაში) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე [2, გვ 84, მუხლი 90]. თუმცა, მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 ათას ლარს გადააჭარბა [2, გვ 84, მუხლი 89]. რაც შეეხება დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციას, ის წინააღმდეგობაში არ მოდის მცირე ბიზნესის სტატუსთან, როგორც ეს პირველ შემთხვევაში იყო.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმ მენარმეებმა, რომლებსაც მცირე ბიზნესის სტატუსი აქვთ მინიჭებული, საგადასახადო პოლიტიკით გატარებული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად გამოხატული შელავათები მიიღეს, რაც გამოიხატა, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდით, ასევე დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებით (იხ. ცხრილი).

**მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმეების, დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთისა და ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვრის შედარება 2011-2018 წლებში**

მცირე ბიზნესი	01.01.2011	01.07.2018
დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი	5%	1%
ერთობლივი შემოსავლის მაქსიმალური ზღვარი	100 ათასამდე	500 ათასამდე
მცირე ბიზნესი	01.01.2011	01.07.2018
დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი	3%	3%
<b>შენიშვნა</b>	იმ შემთხვევაში, თუ მენარმეს აქვს ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი	იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 ათას ლარს გადააჭარბა.

რაც შეეხება საქმიანობის იმ სახეობებს, რომლის განხორციელების შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება არის აკრძალული, ხოლო უკვე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, უუქმდება აღნიშნული სტატუსი, არის შემდეგი:

„1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 26<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული („საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა“) საქმიანობისა;

2. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება);

3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება;

4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;

5. სათამაშო ბიზნესი;

6. პერსონალით უზრუნველყოფა;

7. აქციზური საქონლის წარმოება” [3, გვ. 4, დანართი №4].

საქართველოში მცირე ბიზნესის სტატუსი დაახლოებით 120 ათასამდე მენარმე ფიზიკურ პირს გააჩნია [4], აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ამ გადამხდელების წახალისება სხვადასხვა შეღავათით. მიუხედავად რაოდენობისა, მოცემული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისგან მიღებული საგადასახადო შემოსავლები მნიშვნელოვან გალენას არ ახდენს საერთო საგადასახადო შემოსულობებზე, რადგან ამ ცვლილების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 40 მლნ ლარი დააკლდება [5]. ზოგადად, მცირე მენარმეობის წილი კი ეკონომიკურ ბრუნვაში დაახლოებით 6%-ს შეადგენს [6].

რაც შეეხება რისკ-ფაქტორებს, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ და რამაც შესაძლოა დამატებით შეამციროს საგადასახადო შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის წრილში, მდგომარეობს შემდეგში: მომსახურების სფეროში, მაგ: სამშენებლო ბიზნესში, პირებს, რომლებიც სარემონტო მომსახურებაზე არიან დასაქმებულები, შეუძლიათ მიიღონ მცირე ბიზნესის სტატუსი, რაც არ შედის აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალში, ხოლო დამქირავებელი (ამ შემთხვევაში სამშენებლო კომპანია) აღარ დაბეგრავს საშემოსავლო გადასახადით, ანუ ნაცვლად 20%-ისა (საშემოსავლო გადასახადი) დაიბეგრებიან 1%-ით (მცირე ბიზნესის სტატუსი). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არის საკმაოდ დიდი რისკი იმისა, რომ ბიუჯეტში შემოვიდეს უფრო ნაკლები შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის წრილით, ვინემ დაგეგმილია. ასევე, რისკ-ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ ინფორმაციის ნაკლებობა, რაც გამოიხატება შემდეგში: მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვთ დეკლარაციაში არ მიუთითონ ინფორმაცია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთების შესახებ, ასევე ფასნამატის შესახებ და ა.შ. იქიდან გამომდინარე, რომ მას აქვს უკვე ინფორმაციული ხასიათი და არ არის სავალდებულოდ შესავსები ველები, რაც თავის მხრივ, გართულებს შემოსავლების სამსახურისთვის გადასახადის გადამხდელების (მცირე ბიზნესის სტატუსის საქმიანობის ფარგლებში) შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და შესაბამისად გაკონტროლებას.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესს აქვს დიდი წილი ზოგადად ბიზნესსექტორში, როგორც შემოსავლების, ასევე დასაქმებულების კუთხით, და შესაბამისად, დიდი ყურადღება ექცევა მის განვითარებას, თუმცა, საქართველოში ჯერ-ჯერობით მცირე ბიზნესის წილი უმნიშვნელოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იზრდება მხარდაჭერა მცირე ბიზნესის მიმართ საქართველოში სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებით, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შეღავათს, როგორც იყო მაგ: მიკრო, მცირე და ფიქსირებული სტატუსების შემოღება და შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის შეღავათის მიცემა სტატუსების მიხედვით.

აღნიშნული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმეებისთვის, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდას, ასევე დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთის შემცირებას, ბუნებრივია, დიდი სტიმულია მოცემული კატეგორიის მენარმეებისთვის, თუმცა, ასევე საჭიროა დინამიკაში მოხდეს დაკვირვება, ხომ არ გამოვლინდება ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ რაიმე დამატებითი რისკ-ფაქტორი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზებას. თუმცა, ზემოთ ხსენებული რისკ-ფაქტორი (რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საშემოსავლოს გადასახადზე) უნდა იყოს დაკვირვების ობიექტი დინამიკაში, რათა უკვე მოსალოდენლი შემცირებული შემოსავალი ბიუჯეტში, კიდევ უფრო არ შემცირდეს.

### **ლიტერატურა:**

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010. 2011 წლის 12 მარტის მდგომარეობით.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010. 2018 წლის 07 დეკემბრის მდგომარეობით.
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“
4. [www.rs.ge](http://www.rs.ge) – შემოსავლების სამსახური
5. <http://eugeorgia.info/ka/> – Europe for Georgia
6. [www.parliament.ge](http://www.parliament.ge) – საქართველოს პარლამენტი

## Supporting Tax Policy for Small Business in Georgia

***Iza Bukia***

*Doctoral Student at*

*Iv. Javakishvili Tbilisi State University*

*izabukia@yahoo.com*

There are a number of stimulating actions in the direction of tax policy for entrepreneurs who have an entrepreneurial and especially small business status in Georgia. The status of small business in Georgia was determined by Tax Code and entered into force on 01 January 2011 in order to take advantage of certain preferences for taxpayers who had a relatively low level of income. However, it is noteworthy that after the introduction of the status additional amendment has been made in favor of taxpayers in 2018. However, in this regard we can say that the state budget has lost its revenues and there are also some risk factors that could further reduce the state revenues.

On July 1, 2018, the amendment has been made into the Tax Code and the joint revenue margin has increased from 100 000 GEL to 500 000 GEL. While taxable income is taxed by 1% instead of 5%, however, the rate is changed to 3% if its joint income from economic activity exceeds 500,000 GEL.

There are about 120 000 entrepreneurs who have small business status in Georgia, therefore, it is important to encourage these taxpayers with different benefits, because quantitative terms are relatively voluminous.

As for the risk factors that can be identified after this legislative amendment and that could additionally reduce the tax revenue within income tax, here lies the following: in the field of service, e.g. in a construction business, persons employed in a repair service, they can be granted the status of small business, which does not include the list of prohibited activities, and the employer (in this case the construction company) will no longer be taxed with income tax, instead of 20% (income tax) will be taxed by 1% (small business status). Therefore, we can conclude, it is a big risk that the budget will likely receive less income taxes than it is planned. We can also consider the lack of information as a risk factor, taxpayers with small business status have the right not to indicate the information on the balance, as well as the price tag, etc. Based on the fact that it is an informative character and is not obliged to fill the fields, which in turn will complicate the collection of information about taxpayers (within the scope of small business status) for the Revenue Service and to monitor it accordingly.

However, the above-mentioned risk factor (which can affect the tax on income) should be an object of observation in dynamics, since the expected income having been already reduced in the budget, would not be decreased even more.

**Keywords:** Small Business; Tax Policy; Budget; Tax Legislation.

**JEL Codes:** H20, H25, H29